ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 297

ქალაქი ქუთაისი 26 ივნისი 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისის საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 18 ივნისის №44-4424170456 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412704612) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, კერძოდ, 2 (ორი) ერთეული ნაგავმზიდის უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, დანართის შესაბამისად. მოძრავი ქონების საერთო ღირებულება შეადგენს 689 000.00 (ექვსას ოთხმოცდაცხრა ათასი) ლარს.

(დანართი წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების“ (საინდენტიფიკაციო კოდის №412704612) მიერ, თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემული მოძრავი ქონება გამოყენებულ იქნეს მისი პირდაპირი დანიშნულებით.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა, უზრუნველყოს მოძრავი ქონების თხოვების ფორმით გადაცემისათვის საჭირო დოკუმენტაციის გაფორმება.

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
გას. № 138
26.06.2024 წ.

საქართველო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2024 წლის 26 ივნისის
№ 297 განკარგულების დანართი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადასაცემი მოძრავი ქონების, კერძოდ, სპეციალიზებული ნაგავმზიდების ტექნიკური მახასიათებლები

№	ავტომან-ქანის მარკა	ავტომანქანის ტიპი	ავტომანქანის მოდელი	ავტო-მანქა-ნის ფე-რი	საიდენთიფიკაციო ნომერი WIN	რეგისტრა-ციის ნომე-რი	გა-მოშ-ვების წელი	რეგის-ტრაციის თარიღი
1.	„IVECO“	სპეციალიზებული/ „SPECIALIZED“	„EUROCARGO MLI20 E22“	თეთრი	„ZCFAE1EG902747871“	„UU208DU“	2023	03/04/2024
2.	„IVECO“	სპეციალიზებული/ „SPECIALIZED“	„EUROCARGO MLI20 E22“	თეთრი	„ZCFAE1EG802748297“	„UU209DU“	2023	03/04/2024

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი ბეგელია